საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე „ქ. თბილისში, დიდი დიღმის I მიკრორაიონში, ცენტრალური გზის მიმდებარე უბნის ნაკვეთ № 3,4 და 5-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი“ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში

ქ. თბილისის შ.პ.ს. სამშენებლო პროექტირების ექსპერტების მთავარ სამმართველოს დავალებით ჩვენს მიერ 2006 წ. თებერვალში შემოწმდა ზემოალნიშნულ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილ ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების, წესების და სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებთან.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

ანგარიში მოედნის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე, რომელსაც თან ახლავს.

1. კრებსითი ცხრილი გრუნტების ლაბორატორიული გამოცდის შედეგებზე.
2. ცხრილები გრუნტის წყლის ქიმიურ ანალიზებზე.
3. ჭაბურღილების ლითოლოგიური ჭრილები.
4. მოედნის ტოპოგეგმა სამთო გამონამუშევრების დატანით.
5. მოედნის გეოლოგიური ჭრილები.
6. ტექნიკური დავალება.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად გაყვანილი იქნა ცხრა ჭაბურღილი საერთო სიგრძით – 112.8 მ. ბურღვა წარმოებდა საბურღი დანადგარით უ.გ.ბ. 50 კერნების ამოღებით. აღებული ნიმუშებიდან განსაზღვრული იქნა მათი ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები.

საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლი

ზომებით გეგმაში 45.0×18.0 მ და 55×18.0 მ შენობის ტიპი კარკასულია.

საკვლევი მოედანი მდებარეობს მდ. მტკვარის მარჯვენა სანაპიროზე დიღმის მასივის ცენტრალურ ნაწილში. ტერიტორიის აბსოლოტური ნიშნულები 441,1-446,8 მ-მდე იცვლება. ტექტონიკური თვალსაზრისით უბანი მოთავსებულია დიღმის სინკლინის სამხრეთ ფრთაზე.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული ცდების შედეგად უბანზე გამოყოფილი იქნა გეოლოგიური ჭრილში შემდეგი ფენები:

ფენა 1 – ნაყარი

ფენა 2 – თიხა თიხნარის შუაშრეებით.

ფენა 3 – კენჭნარი.

ფენა 4 – გამოფიტული გაჩერებული სუბარგილიტები და ქვიშაქვები.

ფენა 5 – გამოფიტული სუბარგილირები და ქვიშაქვები.

ანგარიშში მოცემულია თითოეული ფენის საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება. მათი თვისებების შესწავლის საფუძველზე ფუძე-გრუნტებად შესაძლებელია გამოყენებული იქნას.

1. ფენა – 2, თიხა თიხების შუაშრეებით (I ს.გ.ე.)

2. ფენა 3 – კენჭნარებზე (II ს.გ.ე.)

3. ფენა 4 – ძლიერ გამოფიტული გათიხებული სუბარგილიტები – (III ს.გ.ე.)

4. ფენა 5 – გამოფიტული და ქვიშაქვების მორიგეობა (IV ს.გ.ე).

ავტორი აღნიშნავს, რომ ფუძედ გამოდგება II, III და IV საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტები.

მოედნის ჰიდროგეოლოგიურ პირობებზე აღნიშნულია, რომ გრუნტის წყლები დაფიქსირებული იქნა 6.8-7.6 მ სიღრმეზე. წყალი აგრესიულია ბეტონის ნაკეთობის მიმართ და გამოყენებული უნდა იქნას სულფატომედეგი ცემენტები.

ანგარიშის მიმართ გამოვთქვამთ შემდეგ შენიშვნებს.

1. ტექნიკურ დავალებაზე არ არის დამკვეთის ხელმოწერა.

2. ტოპოგეგმაზე არ არის ნაჩვენები, რომ ის ტოპოგეგმაა.
3. ანგარიშში მოცემულია გეოლოგიური სამუშაოებზე ლიცენზია იგი აღარ არის საჭირო.
4. ვინაიდან კენჭნარები მთლიანი გავრცელებით არ სარგებლობენ არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად მათი ფუძედ გამოყენება. ხელოვნურად შემოტანილი კენჭნარის დატკეპვნა გამოიწვევს, მის ქვეშ განთავსებულ ძლიერ გამოფიტულო გრუნტების დატკეპნასაც, რაც შეცვლის ფუძის საერთო სურათს.
5. გვ. 8 აღნიშნულია გრუნტი დარბილებადია ყველა მნიშვნელობა მეტია 0,75-ზე სინამდვილეში იგივე ცხრილით. მათი მნიშვნელობა ნაკლებია 0,75-ზე.

საერთო დასკვნა

მითითებული შენიშვნები არ მოქმედობს ანგარიშის საერთო შეფასებაზე: ანგარიში შესრულებულია მაღალხარისხოვნად და იგი შეიძლება დაედოს საფუძვლად პროექტს, ზოგიერთი ჩვენი შენიშვნის გათვალისწინებით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
კათედრის გამგე, ტექნ. მეცნ. დოქტორი
პროფესორი

გ. ჭოხონელიძე

პასუხები

ქ.თბილისში, დიდი დიღმის I მ/რ ცენტრალური გზის მიმდებარე უბნის ნაკვეთ №№,4 და 5 -ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიშის საექსპერტო დასკვნაზე

შენიშვნები	პასუხები
1.ტექნიკურ დავალებაზე ხელი არ არის მოწერილი	ტექნიკურ დავალებაზე ხელი მოეწერა
2.ტოპოგეგმაზე არ არის ნაჩვენები რომ ის ტოპოგეგმაა	ტოპოგეგმას მიეწერა ტოპოგეგმა
3.ანგარიშში მოცემულია გეოლოგიურ სამუშაოებზე ლიცენზია. იგი აღარ არის საჭირო	ანგარიშიდან ლიცენზიის ფურცელი ამოღებულია
4.ვინაიდან კენჭნარი მთლიანი გავრცელებით არ სარგებლობენ არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად მათი ფუძედ გამოყენება. ხელოვნურად შემოტანილი კენჭნარის დატკეპვნა გამოიწვევს მის ქვეშ განთავსებულ ძლიერ გამოფიტულ გრუნტების დატკეპვნასაც, რაც შეცვლის ფუძის სურათს	კენჭნარის რეკომენდაცია სავარაუდოა. იგი განხილვის ვარიანტის დონეზეა მიცემული
5. გვ.8 აღნიშნული გრუნტი დარბილებადია ყველა მნიშვნელობა მეტია 0.75-ზე. სინამდვილეში მათი მნიშვნელობა ნაკლებია 0.75	შეცდომაა გაპარული. უნდა იყოს "ნაკლებია", როგორც ეს ცხრილშია მოცემული. შესწორებულია.

ინჟ. გეოლოგი ზ. ჩანტლაძე